

ფოთი და პარტიული ოფისები

ლაშა ზარგინავა

ფოთი

მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებამდე 6 თვეზე ნაკლები დრო რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არც არჩევნების ზუსტი თარიღია გარკვეული და არც ოფიციალურად გამოუცხადებია რომელიმე პოლიტიკურ ძალას წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება, ფოთში გახშირდა პოლიტიკოსების ვიზიტები და სხვადასხვა შეხვედრა სხვადასხვა აუდიტორიასთან.

განსაკუთრებული აქტიურობით, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები გამოირჩევიან. დღეგამოშვებით, ზოგჯერ კი, ყოველდღიურად, წლების განმავლობაში მივიწყებულ ქალაქს მინისტრები, მათი მოადგილეები, პარლამენტის დეპუტატები სტუმრობენ. ხშირ შემთხვევაში, ეს შეხვედრები გასაიდუმლოებულია, უფრო ხშირად კი, დამოუკიდებელი მედიისთვის არახელმისაწვდომი.

არც ერთი შეხვედრა - როგორც ფოთის მერი ვახტანგ ლემონჯავა ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს - წინასაარჩევნო დატვირთვის არ არის. თუნდაც შს მინისტრის, ივანე მერაბიშვილის შეხვედრას პედაგოგებთან, პორტისა და სამრეწველო ტერმინალების თანამშრომლებთან, უფრო ადრე კი, ადმინისტრაციული დაწესებულებების მუშაკებთან, ფოთის მერი ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების დამსწრეთათვის გაცნობის მიზეზით ხსნის.

იმავეს აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვანო სალინაძე.

„პარტიის ოფისი მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა და პარტიულ საქმიანობას აგრძელებს. ჯერჯერობით, აქტიური წინასაარჩევნო მუშაობა არ დაგვიწყია, წინასწარი მონახაზები გვაქვს. დროის მიხედვით გავაქტიურდებით“, - დასძენს სალინაძე. ფოთის საქალაქო ორგანიზაციას იგი 4 წელია ხელმძღვანელობს და დარწმუნებულია, რომ არც ამ არჩევნებზე გადაირჩევენ.

„არა მგონია, ჩემი გადარჩევა იგეგმებოდეს. ამ არჩევნებზეც მე ვუხელმძღვანელებ პარტიას, ჩვენს გუნდთან ერთად“, - აცხადებს სალინაძე.

„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო დაპირებებიდან, სალინაძის შეფასებით, ბევრი რამ გუნდთან ერთად უკვე შესრულდა და მეორე პლანზეა გადასული.

„რასაც შევპირდით წინასაარჩევნოდ მოსახლეობას, იმ პროგრამით ვმუშაობთ. იმ პრობლემებმა, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, მეორე პლანზე გადაიწია, რადგან, ზოგი მთლიანად შესრულდა, ზოგი შესრულების პროცესშია. პრობლემებს თუ დავეყოფთ, მათგან ნაწილი საერთო სახელმწიფოებრივია. ყველგანაა უმუშევრობის

პრობლემა. პრეზიდენტის მიდგომაა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში უმუშევრობა აღმოიფხვრას. ბატონმა პრეზიდენტმა საავადმყოფოს გახსნაზე განაცხადა, რომ ფოთი ცოტა ხანში ასპროცენტის დასაქმების ქალაქი იქნება,“ - ამბობს სალინაძე, თუმცა, არ აკონკრეტებს ასპროცენტის დასაქმების რეცეპტს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ წელს მხოლოდ ნავსადგურის 600 თანამშრომელი სამსახურის გარეშე დარჩა, ვანო სალინაძე ოპტიმიზმს მაინც არ კარგავს.

„თუ ბოლო არჩევნებით ვიმსჯელებთ, რომელიც 2010 წელს ჩატარდა, მივიღეთ ხმების დაახლოებით 64%, რაც იმას ნიშნავს რომ ძალიან ბევრი მხარდამჭერი გვყავს. ამ წლების განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმე დაიდრა ქალაქში, რაც იმას უზრუნველყოფს, რომ ჩვენ მხარდამჭერები არ მოგვაკლდება,“ - ასე აფასებს ნაციონალური მოძრაობის პერსპექტივას ფოთის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ახალი ჩამოყალიბებულია კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, თუმცა, ფოთის შტაბის ხელმძღვანელი ფრიდონ კვარაცხელია არჩევნების მოგებაში დარწმუნებულია. კოალიციის ოფისი, მისივე განმარტებით, სრული დატვირთვით იმ მიზეზით ვერ მუშაობს, რომ შტაბი ბოლომდე დაკომპლექტებული და დამტკიცებული არ არის.

„თუმცა, ამის გამო პარტიასა თუ კოალიციაში გაწევრიანების მსურველთ ხელი არ ეშლებათ, ვინაიდან შტაბის წევრების ფუნქციებს კოალიციაში შემავალ პარტიათა წევრებისასრულებენ,“ - გვეუბნება კვარაცხელია.

მისივე განმარტებით, სირთულეები ფოთშიც იგივეა, რაც მთლიანად ქვეყანაში.

„მთავარი სირთულე, რომელმაც შეიძლება ოფისის მუშაობას ხელი შეუშალოს, დაკავშირებულია კონტროლის პალატის მიერ შპს „მენეჯმენტსერვისის“ 5 მლნ ლარით დაჯარიმებასთან. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი - ფოთის ოფისის - პრობლემა. დარტყმის ქვეშ დგას კოალიციის ყველა ოფისი. სხვა მხრივ, თუ არ ჩავთვლით თვალთვალისა და დევნის ფაქტობრივად 24-საათიან რეჟიმს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, განსაკუთრებული სირთულეები ჯერ არ გვაქვს,“ - აცხადებს კვარაცხელია.

კოალიციის ფოთის შტაბის ხელმძღვანელის განმარტებით, პოლიტიკური სახეები მუშაობის პროცესში იკვეთება და მათი დასახელებისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

„არავისთვის გასაკვირი და საწყენი არ იქნება, თუ ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებზე გაცილებით ახალგაზრდაა, ყველაზე მეტი და აქტიური მხარდამჭერი ჰყავს (ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ბატონი ბიძინა ივანიშვილის პერსონის დამსახურებაა). ეს გამოიხატება არა მხოლოდ მხარდამჭერის სტატუსით აქტიურობაში, არამედ პარტიაში გაწევრიანების სურვილით. პერიოდულად, ძირითადად, სამართალდამცავი სტრუქტურები ცდილობენ ჩვენი აქტივისტების დაშინებას; მოსახლეობასთან შეხვედრებზე „ნაციონალური მოძრაობა“ პროვოკატორებს აგზავნის და კონფლიქტური სიტუაციების პროვოცირებას ცდილობს; არის გადაბირების მცდელობაც, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მათ

მოქმედებებს დიდი ეფექტი აქვს. რაც მეტია ზეწოლა, მით მეტია უკუქმედება მოსახლეობის მხრიდან“.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ფოთის შტაბი სრული დატვირთვით 27 მაისიდან ამუშავდება, ანუ, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური კოალიცია საარჩევნო კამპანიის დაწყებას გამოაცხადებს.

თვის ბოლოსთვის გეგმავენ გააქტიურებას „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლებიც, რომლებსაც ამ დროისთვის პარტიული ოფისი ფოთში არ აქვთ. პარტიის საორგანიზაციო მდივანი კონსტანტინე გუგუშვილი, რომელიც სამეგრელოს რეგიონს კურირებს, ამბობს, რომ ამ ეტაპზე კადრების შერჩევით არიან დაკავებული.

ოფისის გარეშეა ამ დროისთვის ფოთის „სახალხო კრების“ წარმომადგენლობა. როგორც „სახალხო კრებისა“ და მასში შემავალი „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ რეგიონული კოორდინატორი - გოჩა დოლბაია ამბობს, დღეისთვის მხოლოდ ზუგდიდის ოფისი ფუნქციონირებს.

“21 მაისს ვიკრიბებით პარტიული აქტივი და „სახალხო კრების“ წარმომადგენლები მთელი საქართველოს მაშტაბით თბილისში, რათა ჩამოვყალიბდეთ და სამომავლო გეგმები დავსახოთ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ფოთში ოფისის გახსნაც იქ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. მაგრამ, მაქვს ინფორმაცია, რომ ფოთში ოფისი მალე გაიხსნება“, - ამბობს დოლბაია.

ოფისის არქონის გამო, დოლბაიას პარტიულ რესურსზე საუბარი უჭირს და ამბობს, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმში არიან.

„როცა მივიღებთ გადაწყვეტილებას არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, ამის შემდეგ მთელი საქართველოს მაშტაბით წარვსდგებით საზოგადოების წინაშე“, - დასძენს გოჩა დოლბაია.

ახალ მისამართზე და ახალი ადამიანური რესურსით არიან წარმოდგენილები ფოთში „ახალი მემარჯვენეები“.

„ოფისი ორი თვეა ფუნქციონირებს. თუმცამ პარტიის დაარსების შემდეგ მემარჯვენეებს ტრადიციულად ყოველთვის გვქონდა ოფისი ფოთში. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო იძულებული გავხდით, ოფისი დაგვეხურა და მხოლოდ ორი თვის წინ გაიხსნა“, - გვეუბნება პოლიტიკური გაერთიანების მთავარი კომიტეტის წევრი, მანანა ნაჭყებია.

„ორგანიზაციის ახალი თავმჯდომარე ზაზა ლემონჯავაა. ფოთში არსებობს პარტიის რაიონული ორგანიზაცია ბიუროს ხელმძღვანელობით, ახალგაზრდული ფრთა, ქალთა ორგანიზაცია და საარჩევნო უბნების მიხედვით საუბნო ორგანიზაცია. ფოთში ყველა საარჩევნო უბნის მიხედვით პარტიას ჰყავს წარმომადგენელი და 3-5 კაციანი ჯგუფი“, - გვეუბნება ნაჭყებია. მისივე განმარტებით, ბიუროში და აქტივში ფოთის საზოგადოების

თითქმის ყველა წრის წარმომადგენლები არიან: ექიმები, სპორტსმენები, მცირე ბიზნესით დასაქმებული ადამიანები და ა.შ.

ნაჭყებიას თქმით, ასევე მობილურობისთვის და ოპერატიულობისთვის გასულ წელს შეიქმნა პარტიის დასავლეთ საქართველოს ოფისი ქუთაისში, რომელიც დასავლეთ საქართველოს და აჭარის წარმომადგენლობების ყოველდღიურ ორგანიზაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს.

ფოთში პარტიული ოფისითაა წარმოდგენილი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ლაშა ბერაიას განმარტებით, ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა მთავარი კომიტეტის მეშვეობით ხდება.

„ოფისში უამრავი ადამიანი მოდის და ჩვენს პარტიაში წევრიანდება. კვლევებიც აჩვენებს ჩვენდამი დამოკიდებულებას. რაც შეეხება ჩვენს წინასაარჩევნო დანაპირებს, სამწუხაროდ, უმრავლესობით არ ვართ წარმოდგენილები თვითმმართველობაში. შესაბამისად, წინასაარჩევნო პროგრამების განხორციელებას ვერ ვახერხებთ. ვიბრძვით არსებული პრობლემების მოგვარებისთვის სოციალური, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურული საკითხების მიმართულებით“, - დასძენს ბერაია.

ოფისის და საქალაქო ორგანიზაციის გარეშეა დარჩენილი ფოთში „კონსერვატიული პარტია“. ყოფილი ხელმძღვანელი თამაზ სოსელია ამბობს, რომ მან ამ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობა შეწყვიტა.

ჯერჯერობით, თავისი წარმომადგენლობა არ აქვს ფოთში პოლიტიკურ პარტიას „განახლებული საქართველოსთვის“. არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათ ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს.

ასე გამოიყურება ამ დროისთვის ფოთში პოლიტიკური პარტიებისა და მათი ოფისების საერთო სურათი. შეემატება თუ არა უკვე მეტ-ნაკლებად აქტიურ პარტიებს კიდევ რამდენიმე, - არჩევნების თარიღის მოახლოების პარალელურად გაირკვევა.

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.



სამოქალაქო
განვითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE